საქართველო

31574-01-2-201508190925

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/31574
19/08/2015

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

გაცნობებთ, რომ 2015 წლის 7 აგვისტოს ხელი მოეწერა „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის (რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი)" სასესხო ხელშეკრულებას.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული სასესხო ხელშეკრულება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენის მიზნით, გიგზავნით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ინგლისურენოვანი დედნისა და ქართულენოვანი ოფიციალურად დამოწმებული თარგმანის ასლებს, განმარტებითი ბარათს, შესაბამისი უწყებების დასკვნებსა და შეთანხმების ფურცელს.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მასზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე - ბატონი ლაშა ხუციშვილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ბატონი - გიორგი კაკაურიძე.

დანართი:
- ხელშეკრულებისა და მისი თარგმანის ასლი;
- უწყებების დასკვნები;
- განმარტებითი ბარათი;
- შეთანხმების ფურცელი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილები.

(ჯამი: 60 ფურცელი).

პატივისცემით,
გიგი გიგიაძე

მინისტრის მოადგილე

№ 61236
19 08 2015
61

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge